საქართველოს
ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტრო

MINISTRY OF ECONOMY
AND SUSTAINABLE
DEVELOPMENT OF GEORGIA

სსიპ საზღვაო ტრანსპორტის
სააგენტო

LEPL MARITIME TRANSPORT
AGENCY

KA020131040415916

სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო საქართველო, ქ.ბათუმი, 6000, ნინოშვილი ქუჩა N23. ტელ.:+995 422 27 49 25/26
23 Ninoshvili Str., 6000, Batumi, Georgia. Tel.:+995 422 27 49 25/26

№ 2/CIRC/MSD **22 /** იანვარი **/ 2016 წ.**

ყველა დაინტერესებულ პირს

გაცნობებთ, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს საზღვაო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ (სარეგისტრაციო კოდი: 400010020.05.001.018021, 23/12/2015) შესაბამისად ახლებურად ჩამოყალიბდა საზღვაო კოდექსის 70-ე მუხლის მე-4 ნაწილი, ასევე ამავე მუხლს დაემატა 4^1 ნაწილი. ხსენებული ნაწილების ახალი რედაქციაა:

> *„4. საქართველოს ტერიტორიულ ზღვაში და ყველა საზღვაო ნავსადგურში გემების მოძრაობის მომსახურებას უზრუნველყოფს სააგენტო თავისი სტრუქტურული ერთეულის მეშვეობით, „ზღვაზე ადამიანის სიცოცხლის დაცვის შესახებ“ 1974 წლის საერთაშორისო კონვენციის, მისი 1988 წლის ოქმის, ცვლილებათა გათვალისწინებით, V თავის მოთხოვნათა შესაბამისად.*
>
> *4^1. საქართველოს ტერიტორიულ ზღვაში და ყველა საზღვაო ნავსადგურში გემების მოძრაობის სისტემის ფუნქციონირებისა და კონტროლის წესები განისაზღვრება სააგენტოს დირექტორის ნორმატიული აქტით.“.*

ზემოაღნიშულიდან გამომდინარე, სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო, საზღვაო კოდექსის დებულებათა შესაბამისად, განისაზღვრა ერთადერთ სახელმწიფო ორგანოდ, რომელსაც დაეკისრა გემების მოძრაობის მომსახურების უფლებამოსილება საქართველოს ტერიტორიულ ზღვასა და ყველა საზღვაო ნავსადგურში სავაჭრო ნაოსნობის მიზნებისათვის.

დამატებით გაცნობებთ, რომ აღნიშნული ცვლილების უზრუნველსაყოფად 2016 წლის პირველ აპრილამდე სააგენტო და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო განახორციელებენ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ღონისძიებებს. კერძოდ, მითითებულ ვადებში წარმოდგენილ იქნება და ძალაში შევა შემდეგი ნორმატიული ძალის მქონე სამართლებრივი აქტები:

VTS მომსახურების სატარიფო სისტემა - „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების სახეების, ვადების, საფასურის განაკვეთების, ასევე საფასურის გადახდისა და გადახდილი საფასურის დაბრუნების წესისა და

პირობების დამტკიცების შესახებ” საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 15 აპრილის №1-1/592 ბრძანებაში ცვლილების შეტანის გზით.

VTS სამსახურის სტრუქტურა და ტექნიკური შესაძლებლობები - „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 14 აპრილის №1-1/585 ბრძანებაში ცვლილების შეტანის გზით.

საქართველოს ტერიტორიულ ზღვაში და ყველა საზღვაო ნავსადგურში გემების მოძრაობის სისტემის ფუნქციონირებისა და კონტროლის წესები - სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის სამართლებრივი აქტის გამოცემის გზით.

VTS ოპერატორების საკვალიფიკაციო მოთხოვნები - სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის სამართლებრივი აქტის გამოცემის გზით.

აღსანიშნია, რომ ხსენებული სისტემის დანერგვა საქართველოში გათვალისწინებულია საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულებითაც. VTS სისტემა სრულიად დაეფუძნება შემდეგ ევროკავშირის დირექტივას: “2002 წლის 27 ივნისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2002/59/EC დირექტივა, რომლითაც შეიქმნა გაერთიანების ფარგლებში გემების მოძრაობის მონიტორინგისა და ინფორმაციული სისტემა.”

სააგენტო წინა რამდენიმე ცირკულარით/ოფიციალური წერილით, ასევე შეხვედრების გზით აქტიურად ახდენდა საზღვაო ინდუსტრიის ინფორმირებას წარმოდგენილი სისტემის დანერგვასთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გვსურს განვმარტოთ, რომ გემების მოძრაობის მართვასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა სახის კერძო მომსახურება საქართველოს ნავსადგურებში არ წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობით ან საერთაშორისო მოთხოვნებით გათვალისწინებულ VTS მომსახურებას.

სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს
დირექტორი

მამუკა ახალაძე